საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 9 1921 წ. ოთხშაბათი, მარტის 9

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტფილისი, ოთხშაბათი მარტის 9

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ გამოსვლამ დიდი მითქმა-მოთქმა და აშკარა უკმაყოფილებაც გამოიწვია არა მარტო ფართე საზოგადოებაში, არამედ ჩვენ პარტიულ ამხანგებშიაც. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბოლშევიკური დიქტატურის დროს შეუძლებელი იქნებოდა თავისი აზრის გამოთქმა სიტყვით თუ ბეჭდვით და რაკი ჩვენი გაზეთი გამოვიდა, დაასკვნეს: ფედერალისტები გაწითლდენ, გაბოლშევიკდნენ და წითელ არმიას სიხარულით შეეგებენო. ახეთი დასკვნები, რა თქმა უნდა, ნაკარნახევია სხვა და სხვა პირობების მიერ შექმნილი ფსიქიური მდგომარეობისაგან და სრულებით არ მომდინარეობენ გაზეთის წერილებიდან.

სოც.-ფედერალისტების პარტიას ოცი წლის ისტორია აქვს, მას 20 წელია წითელი დროშა უპირავს ხელში, მან 20 წლის წინად შემოიტანა საქართველოში ის პროგრამა, რომელიც ბოლშევიკებმა ამ სამი წლის წინად მიიღეს და ეხლა ჩვენი ანაზდათ გაწითლება ბოლშევიკების გავლენით, ცხადია, საღად მოაზროვნე თავში არ დაიბადებოდა.

რაც შეეხება საქართველოში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ წითელ ჯარს ჩვენ ობიექტელის თვალით არ ვუცქეროდით, ეს გარემოება მაინც არ გაგვხარებია. პირიქით ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით ამისა და შესაფერი ბრძოლასაც ვაწარმოებდით არა მარტო სიტყვით, არამედ იარაღითაც ხელში საქართველოს საზღვრებზედ. ბევრი ჩვენი ამხანაგი კიდეც დაიღუპა ამ გმირულ ბრძოლაში...

მაგრამ ჩვენ მაინც გრძნობებს არ ავყევით, გონებას მოუხმეთ და ფაქტის ანგარიში გავუწიეთ. ჩვენ იმედი გამბედაობა მაინც გამოვიჩინეთ, რომ უსაფუძვლო შიშით თავზარდაცემულ და მწუხარებისაგან გონებააბნეულ ხალხს გამამხნევებელი სიტყვა ვუთხარით და პრაქტიკულ მუშაობისაკენ მოვუწოდეთ. ჩვენ გვამოქმედებს ქართველი ერისა და მშრომელი ხალხის ინტერესები და გულხელდაკრეფილნი მარტო წუწუნით ვერ დავკმაყოფილდებოდით მაშინ, როცა უპატრონოდ მიტოვებულ ქვეყნის დაპატრონებას ეშმაკები ლამობდენ. ჩვენ შეგნებულად ვსდგამთ ყოველ ნაბიჯსა, გათვალისწინებული გვაქვს მისი შედეგები და კალამს ვერ გაგვაგდებინებს ხელიდან უკმაყოფილება იმ პირებისა, რომელთაც მძიმე სულიერი განცდის გამო ვერ მოურხერხებიათ საღად მსჯელობა.

## ფიქრები

ფურცელი 4.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების კურიოზული სურათები დაჟინებით მოითხოვს ახალ მთავრობისაგან, რომ იგი დაუყონებლივ შეუდგეს სახელმწიფოს აღმაშენებლობით მუშაობას რაც უნდა გამოურკვეველი იყოს გარეშე მდგომარეობა და მოუწესრიგებელი შინაური მდგომარეობა დღევანდელი მომენტი მაინც დაჟინებით მოითხოვს მთავრობისაგან საკუთარი ძალღონით შეუდგეს იგი აღმაშენებლობით მუშაობას.

დღეს ტფილისი საშინელ სურათს არვ ოდგენს: ხაზინა ცარიელი, ხორბლეულობის საწყობები კარ გამოკეტილი, თითქმის ყველა საპასუხისმგებლო პოსტები დაცარიელებული, არ არის მოწყობილი ქართულ მოხელეთაგან შემდგარი მძლავრი ადმინისტრატიული აპარატი, არ არის ეროვნული ჯარი, აწეწილ დაწეწილი სასამართლო, მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიულ მოხელეობა მაგრად შებღაუჭებია დღეს ყველა ჩვენ დაწესებულებებს და სურს კვლავ შექმნას ძველი რუსეთის მიერ შექმნილი პრივილეგიები მრავალმა ხულიგნურმა ელემენტმა სოროდან გამოჰყო თავი წითელ ჩვრით მკლავზე და რადგაცა სფუსფუსებს, დამშეული ხალხით ქუჩები ამსილია...

ასეთ პირობებში აირევა მონასტერი თუ მთავრობამ დღესვე არ მიიღო ენერგიული ზომები ყოველივე ამისთავიდან ასაშორებლათ. უმთავრესი ყურადღება კი მთავრობისა უნდა იყოს მიპყრობილი იმისაკენ, რომ ეროვნული მეობა ქართველი მშრომელი ხალხისა არ იყოს შებღალული და ყოველგვარი ორგანიზაცია და დაწესებულებები მისი უნდა მოაწყოს წმინდა ეროვნულ ნიადაგზე. ჩვენ არა ვართ მომხრე ყოველივე არაქართულის დევნისა, იმის მომხრენიც შეიძლება ვიყოთ, რომ გამოცდილი არა ქართველი მოხელე-სპეციალისტი დარჩეს კიდევ თავის ადგილზე, მაგრამ ჩვენ იმის სასტიკი წინააღმდეგი ვიქნებით ყოველთვის თუ ვინმე ინტერესებს მთელი ერისას ანაცვალებს კერძო ჯგუფების ინტერესებს, ასეთი ნაბიჯების გადადგმის დროს.

პირველ რიგში კი უნდა იქნას მოწყობილი პურის დარიგების და გაწესრიგების მეტად მწვავე საკითხი.

დათიკო პურცხიძე.

## ბინების გარშემო

ამ უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებული ენერგიით, ძარღვების „დაჭიმვის დაუზოგველად“, თითქმის 19—20 საათის განმავლობაში ჩვენს დედა ქალაქში მუშაობს საბინაო კომისია. ჩემთვის ჯერაც დაუჯერებელია, რომ სათანადო ორგანოს მიერ იყოს გამომუშავებული რაიმე ინსტრუქცია ბინების რეკვიზიციის შესახებ. და რომც იყოს ასეთი რამ, ყოველ-შემთხვევაში ეს წესი სრულიად უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, რომელიც მეტის-მეტად დაინტერესებულია ამ საქმის უმტკივნეულოდ გატარებაში. ჩვენის აზრით თუ კი არის ასეთი რამ, საჭიროა საჩქაროდ გამოქვეყნდეს რითაც საშუალება მიეცემა მცხოვრებთ, უკანონო საქციელს ამა თუ იმ აგენტისა, შეებრძოლოს და თავის დროზე გამოასწოროს.

ყველა გაცნობილია რა ბოროტ-მოქმედებებს ქონდა ადგილი ბინების გარშემო ძველად, და მით უმეტეს შესაძლებელია დღეს, როდესაც ადმინისტრაციული აპარატი ჯერ ვერ დამდგარა თავის სიმაღლეზე. ძმა-ბიჭობა მექრთამეობა, პროტექცია; აი რა იყო მუდმივი თანამგზავრი ამ „წყეული კითხვისა“.

აქედან ცხადია რევკომს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია საბინაო საქმისათვის, და არ გამოეშვა სახლებში ათასი ჯურის ხალხი, რომელიც ვერ უწევს ანგარიშს აუცილებელ პირობებს, და ხშირად ადგილი აქვს ისეთ ნაბიჯებს, რომელნიც უქადის ბევრი საქართველოს მოქალაქის და ღარიბი ნაწილის ათეული წლების ნაშრომისა გაქრობას.

ამ უკანასკნელ ომს ერთ სავალალო შედეგად ისიც მოჰყვა, რომ სატახტო ქალაქიდან გაიქცა საგრძნობი ნაწილი ქართველი საზოგადოებისა. მან შეშინებულმა ათასგვარი გადაჭარბებული ცალმხრივი ინფორმაციით, ღვთის ანაბარა დასტოვა სახლი კარი და საცხოვრებელი ოთახები მთელი მოწყობილებით.

ამ სამწუხარო მოვლენით სარგებლობენ სწორეთ ისეთი ბნელი ძალები, რომლებიც დიდიხანია აქედან გასაძევებელი იყვნენ, რომლებსაც არავითარი ორგანიული კავშირი არ აქვთ ჩვენს ქვეყანასთან, და თუ სცხოვრობდნენ აქ, მხოლოდ მიტომ, რომ გამოექცენ ან დენიკინის განადგურებულ ლაშქარიდან, ან ერევნის დამნაკთა დანგრეულ სამეფოდან.

ჩვენ მოწამენი ვიყავით მათ მკლავებზე წითელი შესაძლებელიც არის ეს უპრინციპო და ბოროტი პირები ამა თუ იმ ადგილზე „წამოჭიმული“, თავის ბნელ საქმეებს აკეთებენ.

ერთი რამ უკვე ცხადია ჩვენთვის. ბევრ სახლებში საბინაო კომიტეტის აგენტები თუ არა აგენტები, და ასახლებენ უმთავრესად ხალხს ისეთ ბინებზე, რომელიც ეჭირა ამ ერთი კვირის წინად ქართველ მოსამსახურეს, სტუდენტს, მასწავლებელს და სხვა...

ახალი მდგმური ეპატრონება ოთახებს და მთელ ავეჯეულობას. რა გარანტია აქვს ლტოლვილ პატრონს, რომ მისი ნაოფლარი არ გაფუჭდება, ან არ გაქრება ამ მლოლავი ხალხის ხელში.

ძალიან ცოტა, და ამიტომ რევკომი ვალდებულია სასწრაფოდ გამოასწოროს ეს შემცდარი ნაბიჯი და ბინა და ქონება არ დაუკარგოს დასავლეთ საქართველოში დროებით შეხიზნულ ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ.

ეჭვი არ არის, რომ ამ მოკლე ხანში ორად გაყოფილი საქართველო გაქცეული ხალხი თავის საცხოვრებელ ადგილებს დაუბრუნდება. მანამ კი ასეთი პირების ბინაში არავინ არ უნდა იქმნას ჩასახლებული, პირიქით ზომები უნდა იქმნას მიღებული როგორც მთავრობის, აგრეთვე საზოგადოების მიერ, რომ მათი ბინა და ქონება ხელშეუხებელი დარჩეს. თორემ მალე მოწმენი ვიქნებით თავ-პირის მტვრევისა, და იმ სამწუხარო ინციდენტის მახიური გაგრძელებისა, რომელსაც წინადაც ჰქონდა ადგილი ამას მოითხოვს სამართლიანობა და ერის რეალი ინტერესები, თორემ დეკლარატიული ხასიათის ბრძანება დეკრეტები საქ. რევკომისა ვერავის დაამშვიდებს.

მარკ.

## მასწავლებელთა შორის

პარასკევს, მარტის 4 საღ. 5 საათზე შესდგა საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს და ქ. ტფილისის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის შეერთებული სხდომა, რომელსაც დაესწრო რევკომის წევრი განათლების კომისარი მ. ოკუჯავა და პროფ. კავშირების სარეორგანიზაციო კომიტეტის ინსტრუქტორი.

სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა ერ. ლორთქიფანიძემ და წინადადება მისცა დამსწრეთ გამოეთქვათ თავისი აზრი იმ საინციატივო ჯგუფის მოქმედების შესახებ, რომელიც ნიშნავს ამსწავლებელთა კრებებს არასებული გამგეობის დაუკითხავად და მიზნად დაუსახავს შექმნა რაღაც ახალი კავშირისა.

ყველა ორატორები გაკვირვებას გამოსთქვამს: ვის რას ჭირდა ასეთი კავშირის დაარსება, როცა არსებობს და განაგრძობს როგორც სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირი და აგრეთვე ქ. ტფილისის მასწავლებელთა კავშირი. თანახმად არსებულ წესდებისა, როგორც ტფილისის, ისე სრულ. საქ. მასწავლებელთა კავშირებში წევრებად შედიან ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებლები განურჩევლად ეროვნებისა. მსურველებს შეუძლიათ აგრეთვე დაარსონ ნაციონალური, ან სხვა სექციები, რაც გათვალისწინებულია არსებული წესდებით.

ამის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც შეუფერებლად სთვლის მასწავლებელთა საერთო კრების მოწვევას ახალი კავშირის დასაარსებლად, რა კი ასეთი უკვე არსებობს და მუშაობას განაგრძობს.

შემდეგ ამისა სიტყვა ეძლევა მოსულ ინსტრუქტორს, რომელიც აცხადებს, რომ ის არ იცნობს აქაურ კავშირებს, მაგრამ როგორც მისთვის გადაუციათ არსებობს ქართველ მასწავლებელთა კავშირი და საჭიროა კი არის შექმნას ერთი მთლიანი საერთო კავშირიო. ეს არის საორგანიზაციო კომიტეტის უახლოესი მიზანიო. შემდეგში კი უნდა გაფართოვდეს თქვენი კავშირი და ნაცვლად მასწავლებელთა კავშირისა დაარსდეს „კულტურისა და განათლების დარგში მომუშავეთა კავშირიო“.

ამაზედ მას უპასუხეს, რომ მისთვის მიუციათ შემცდარი ცნობა, რომ არსებობს საქართველოს ყველა მასწავლებელთა კავშირი განურჩევლად ეროვნებისა და თუ ვისმე მასწავლებელთა სასაზოგადო კრების მოწვევა სურს, უნდა მიმართოს არსებულ გამგეობასა.

ასეთივე აზრი გამოსთქვა მ. ოკუჯავამ, რომელმაც განაცხადა, რომ არსებული კავშირების დანგრევა არაა საჭირო და არავის არ უნდა მიეცეს უფლება დროით ისარგებლოს და დეზორგანიზაცია შეიტანოს კავშირთა ცხოვრებაშიო. ტყუილა შეეცდებიან შეცდომაში შეგვიყვანონ წითელი ნიშნებით, ჩვენ მათ ვიცნობთ და შესაფერ პასუხსაც გავსცემთო.

დაბოლოს შეკითხვების საპასუხოდ მ. ოკუჯავა აკეთებს დაახლოვებით შემდეგ ინფორმაციას: განათლების კომისარიატი ჯერ დროებითია, არ არის ჩამოყალიბებული და თვითონაც დროებით არის მისი წევრი. სწავლა აღზრდის სისტემაში არავითარი ცვლილება არ იქნება შეტანილი ამ სამოსწავლო წლის დასრულებამდი. რაც შეეხება შიშს იმის შესახებ, თითქო ქართული ენა განდევნილ იქნება სკოლებიდან და დაწესებულებებიდანო, ეს უნდა აიხსნას უბრალო გაუგებრობით, ვინაიდან დედა ენის აუცილებლობა თვით საბჭოთა სისტემის ბუნებიდან გამომდინარეობს და არაა დამოკიდებული ამა თუ იმ პირის ან ორგანოს სურვილებზე. საბჭოთა სისტემის გატარება ცხოვრებაში ყოვლად წარმოუდგენელია უცხო ენის საშუალებით და თუ რომელიმე დაწესებულებაში ამ თავად მოჰყვა ვინმე ქართულის არ მცოდნე, ეს შემთხვევითი მოვლენაა და მალე ყველაფერი მოგვარებულ იქნებაო.

დამსწრე.

## ახალი ამბები

— ქართველ მეომართა დასაფლავება. დღეს, მარტის 9-ს ნაშუადღევის 4 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან გამოასვენებენ კოჯრის მიდამოებში დაღუპულ ქართველ მეომართ. დასაფლავება მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში.

— რედაქციამ მიიღო გიორგი სადგელის ლექსთა კრებული „ირუმო“ წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული.

— დაიკარგა მოქ. ნეონილა მეძმარიაშვილის სახელზე გამოცემული სარეკომენდაციო ბარათი № 136, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

— საქ. სოც.-ფ-თა სარ. პარტიის დროებით მთავარ კომიტეტს ცნობა მოუვიდა, რომ ტფილისში ჩამოიყვანეს დატყვევებულნი გენერ. ახმეტელაშვილი, პოლკ. თავაძე, ლ. ცაგარელი და სხვები 40 კაცამდე. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შ. ნუცუბიძე მოელაპარაკა ამათ შესახებ საქ. რევკომს და განმარტეს, რომ საშიში არაფერია. სამხედრო ტყვეები ყველა გაანთავისუფლეს. ოფიცრები კი ჯერ-ჯერობით დაკავებულნი, მაგრამ რევკომის კატეგორიული განცხადებით მათ არავითარი საფრთხე არ მოელის.

— წიგნების დაბეჭდვა. ის ქართული წიგნები რომლებიც სხვა და სხვა მიზეზთა გამო შეჩერებულ იქნა, მთავრობის განკარგულებით კვლავ უნდა დაიბეჭდოს. ახლოხანში გამოვა ს. გლახაშვილის მოთხრობა „უცნაური“, ვ. ბარნოვის მეორე ტომი და მარიჯანის ლექსები.

## გრუზროსტას ბიულეტენი № 10

**ტფილისი—ხაშური.**

რევკომის განკარგულებით 5 მარტიდან გზა ტფილის—ხაშურს შუა გადავიდა საქართველოს გზების გამგეობაში.

**რკინის გზებზე.**

საქართველოს რკინის გზების უფროსის დროებითი თანამდებობის აღსრულება საქართველოს რევკომმა დაავალა გზათა უფროსის თანაშემწეს ინჟინერ კენდეს. სატეხნიკო განყოფილების და ექსპლოატაციის უფროსის მოადგილეთ დაინიშნა ინჟინერი ბრეიტბურგი.

**საქართველოს რევკომის წევრთა მოსვლა.**

მარტის 6-ს. ბაქოდან ტფილისში მოვიდნენ საქართველოს რევკომის წევრები: ფ. მახარაძე და კავკავიდგან ა. გეგეჭკორი და კვირკველია.

მარტის 6 ს ბაქოდან ტფილისში მოვიდა ორჯონიკიძე.

**ბრძანება № 5.**

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარისა.

1 წინადადებას ვაძლევ ყველა სახელოსნოების, ქარხნების და სხვა წარმოებათა პატრონებს და გამგეთ, რომელნიც სამხედრო საჭიროების მასალებს და ქიმიურ საგნებს ამზადებენ, ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში ზუსტი აღნიშნული წარმოებანი აღრიცხონ სამხედრო და საბრძოლო ქონების საადრიცხო კომისიაში (ხელაძის № 12).

2, წარმოებათა აღრიცხვისათვის საჭიროა შემდეგი ცნობების წარდგენა სად იმყოფება სახელოსნო, ქარხანა ან წარმოება, რანაირი მოწყობილებისაა, რამდენი მუშაა, რა ჯურის და რაოდენობის საგნები მზადდება თვიურად, რამდენი საგნებია ამ ჟამად უკვე დამზადებული და რამდენი ნედლი მასალა აქვს საწყობში.

3. მე-11 არმიის მომარაგების მთავარ რწმუნებულს ევალება სულ ახლო მომავალში მიიღოს ზომები წარმოებათა მუშაობის აღდგენისათვის სამხედრო შეკვეთის შესასრულებლად, ვასცეს სათანადო განკარგულება ასეთი წარმოებათა საწყობებში უკვე დამზადებული საგნები გადასცეს მთავარ საწყობს.

ზემოხსენებული სააღრიცხო მუშაობისა და აგრეთვე წარმოებათა მიერ მუშაობის აღდგენის შესახებ პერიოდულად მოხსენებები წარმომიდგინონ.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და მე 11 არმიის სამხ. სარ. საბჭ. წევრი.

შ. ელიავა.
მდივანი დ. ბზიავა.

**ბრძოლა ხიძვირის წინააღმდეგ**

სურსათ-სანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ სურსათ-სანოვაგის კომიტეტი ამ დღეებში დააწესებს ფასებს ყოველდღიურ საჭირო სურსათზე.

აკრძალული იქნება სადამოობით ხორცის გაყიდვა. ქალაქის კომიტეტმა გამოუცხადა ყველა ყასბებს, რომ სავასპეგბიდან ხორცის გაყიდვა მცხოვრებლებლებზე სასტიკად აკრძალულია.

**პურის ულუფა**

მუშათა მაგიდა აცნობებს ქარხნების კომიტეტებს, რომ ისინი მოვალენი არიან თვალ-ყური ადევნონ მუშათა მაგიდიდან მიღებულ სიების სისწორეს ამიტომ ყოველივე ცვლილების შესახებ კომიტეტებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მუშათა მაგიდას. მუშათა მაგიდა სთხოვს ქარხნების ყველა კომიტეტებს უსათუოდ გაგზავნონ თვისი წარმომადგენელი, რომელიც უნდა დაესწროს პურის დარიგებას, რათა პურის დარიგება ხდებოდეს ქარხნების კომიტეტების კონტროლით.

**სააფთიაქო საქონელი**

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ყველა მედიკამენტები და აფთიაქის საქონელი უნდა გაიგზავნოს სამხედრო უწყების ყოფილ აფთიაქის საწყობში და იქიდან სააფთიაქო საქონელი მიეცემათ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს.

**ა ფ თ ი ა ქ ე ბ ი**

ცნობილი ზოგიერთი აფთიაქის მესაკუთრენი ჰყიდიან მედიკამენტებს ბითუმად საზღვარ გარეთ გასატანად, ხოლო კერძო პირთ არ აძლევენ წამალს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომმა სასტიკი ბრძანება გასცა აკრძალულ იქმნას მედიკამენტების ბითუმად გაყიდვა და დამნაშავენი რევოლიუციონურ ტრიბუნალს მიეცემიან.

**მოწაფეთა უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით.**

გორევკომის მიერ მიღებულია სას წრაფო ზომები, რათა დაჩქარებით მოეწყოს მოწაფეთათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

**სწრაფი მიმოსვლის აკრძალვა.**

გორევკომის მიერ დადგენილია მიმართოს ქალაქის მილიციის უფროსს, რათა მის მიერ ზომები იქმნას მიღებული დააკავოს ყველა ავტომობილები, რომლებიც წარმოუდგენელი სისწრაფით მიექანებიან ტფილისის ქუჩებზე. ასეთივე განკარგულება მიეცა აგრეთვე ქალაქის კომენდატს.

# გრუზპროსტის ბიულეტენი № 11

1921 წლ. მარტის 8-ს

**საქართველოს რევკომის პროტესტი.**

რევოლიუციონურმა კომიტეტმა მიმართა მთელ ქვეყნიერებას შემდეგი რადიო ტელეგრამით:

ყველას, ყველას, ყველას. საქართველოს მშრომელ მასის ძლევამ მოსილ აჯანყებას შედეგად მოჰყვა ის რომ საქართველოს გარდა რევოლუციონურად დამოუკიდებელი და თავისუფალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. საბჭოთა საქართველოს სათავეში მდგომი მუშათა და გლეხთა მთავრობამ რევოლიუციონური კომიტეტის სახით ჩამოგდებულ მენშევიკთა მთავრობასთან ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ბრძოლის დროს ღიად სცნო მშრომელთა მთელი ძალა-უფლება და ხალხთა უფლება სრული თვითგამორკვევისა. მაგრამ ამ მომენტში. როდესაც შინაური რევოლიუციონური გადატრიალება დასასრულს უახლოვდება და საბჭოთა ძალა უფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მტკიცდება, ამ დროს მოლშევიკების საწინააღმდეგო ძალები იჩენენ აქტიურად მტრულ განზრახვებს თავისუფალ. დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველოს რევკომს ცნობები აქვს, რომ საქართველოს ნავთსადგური ბათომი გახდა საგნად არა მარტო ინტრიგებისა, არამედ პირდაპირ და პყრობითი სურვილებისა. განსაკუთრებით ანტანტის მთავრობათა მხრივ. ბათუმის დაჭერა და ფერადფერით გასამართლებელი თვალსაზრისი დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოზე ალბად დასაბუთებულ იქნება ვითომდა აჭარის ხალხის თვითგამორკვევის პრინციპით. საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა რევოლიუციონური რესპუბლიკა აცხადებს. რომ თავისუფალი თვითგამორკვევა ხალხთა საზოგადოდ და კერძოთ მომმე აჭარის ხალხისა ისეთი პრინციპია ჩვენთვის, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეალიზაციას, მაგრამ მთავრობა არ შეურიგდება იმას. რომ ეს დიადი პრინციპი, ოქტომბრის დიდ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ და ხორც შესხმული ვისმესაგან, გამოყენებულ იქმნას რეაქციის იარაღად აჭარისა და საქართველოს მშრომელ მასების ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ მედგარ და კატეგორიულ პროტესტს ბათუმის დაჭერის განზრახვისა ან ოკუპაციის წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა იყვეს ეს განზრახული საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი საქართველოს მუშათა და გლეხთა სრულ თანხმობით ყველასთვის გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ყოველივე ძალა, რომელიც ბათუმს თავს დაესხმის, ჩვენის მხრივ ჰპოვებს მედგარ წინააღმდეგობას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის სამართლიან ბრძოლაში. როგორც მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე ყველა ქვეყნების მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეს იქნება.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა თრახელაშვილი.

**რეგისტრაცია ხე ტყის წარმოებისა.**

**ხავალდებულო დადგენილება.**

საერო მეურნეობის მოწესრიგების მიზნით საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ამით უბრძანებს ყველა ხე ტყის წარმოებას, ხე ტყისა და ხის მასალის დამამუშავებელ ქარხნებს, საწყობების პატრონებს ქალ. ტფილისისა და საბჭოთა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე დღიდგან სამი დღის განმავლობაში ჩაეწერნენ ტყის განყოფილებაში, სომხის ბაზარი № 6, სადაც უნდა შეავსონ ანკეტის ფურცლები. ქარხნებმა უნდა განაგრძონ ნორმალური მუშაობა, ქარხნების კომიტეტებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ქარხნებიდან და საწყობებიდან არ იქმნეს გატანილი მასალა თუ არ კომისიის ორდერებით. ვინც ამ დეკრეტს არ დაემორჩილება პასუხის გებაში იქნება მიცემული კანონების სრული სიმკაცრით.

**შინაგან საქმეთა კომისარიატში.**

შინაგან საქმეთა, ფოსტის და ტელეგრაფის სახალხო კომისრათ დაინიშნა ვ. მ. კვირკელია, რომელიც 7 მარტიდან შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას. ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატის საქმეებში. ვ. მ. კვირკელიას მოადგილეთ დაინიშნა მ. გ. კამალაური. შინაგან საქმეთა კომისარიატი მოთავსებულია ყოფილ შინაგან საქ. სამინ. შენობაში.

**ახალგაზრდა სოციალისტ კომუნისტთა კომიტეტი საქართველოში.**

წევრთა რეგისტრაცია დამთავრდა. ახალ წევრთა ჩაწერა ჯერ-ჯერობით არ სწარმოებს. ახლო მომავალში დაიწყება სამხედრო სწავლება ახალგაზრდა სოციალისტ-კომუნისტურ კომიტეტის ყველა წევრთა. კავშირის ყველა წევრი შეიარაღებულია. ცენტრალური კომიტეტი გზავნის თავის წარმომადგენლებს განათლების და შრომის კომისარიატებში პროკავშირებსა და სხვა ორგანიზაციებში.

**პროფკავშირებში.**

გამომგონთა კავშირში. კვირას ქალაქის ყოფილ საბჭოს სხდომის დარბაზში შესდგა პირველი საორგანიზაციო კრება გამომგონთა კავშირისა, რომელზედაც დადგენილ იქმნა: 1) შეერთდნენ კავშირში სახელწოდებით „გამომგონთა კავშირი" 2) არჩეულ იქმნას დროებითი საორგანიზაციო კომიტეტი. კავშირის მიზანია დაეხმაროს გამომგონთა და დაიცვას მათი უფლებანი მათ მიერ გამოგონებათა რეალიზაციის დროს.

**რკინის გზებზე.**

7 მარტს რკინის გზებზე გაიცა შემდეგი განკარგულება: სადგურებში კერძო პირთა სახელზე მოსული სურსათი მიეცეს მიმღებთ დაუბრკოლებლივ.

რკინის გზის მიმოსვლა სადგ. სკრამდე, ე. ი. ტფილისიდან 78 ვერსამდე სრულებით აღდგენილია ტელეგრაფის ხაზის აღსადგენად მუშაობა სწარმოებს სკრას იქითაც.

**სურსათის თავისუფალი შემოტანა.**

სურსათის სახ. კომისარმა საქართველოს რევკომს მიმართა თხოვნით, გასცეს ბრძანება ნარკომპროდკომის დადგენილების დასადასტურებლად, რომ ტფილისში ყოველგვარი სურსათი დაუბრკოლებლივ შემოტანილ იქმნას. ასეთი განკარგულება გამოწვეულია სურვილით, რომ რაც შეიძლება მეტი სურსათი შემოვიდეს ტფილისში.

ნარკომპროდკომმა თხოვნით მიმართა საქართველოს რევკომს, გადაეცეს მის განკარგულებაში ყოფილ ქალაქთა. კავშირის ტრანსპორტი.

ნარკომპროდკომმს წინადადება მისცა ქალაქთა კავშირს საწყობიდან არ გასცეს არავითარი სურსათი, რომ ამით შეცილებულ იქნეს არევდარევა სურსათის მომარაგებაში და მომარაგების საერთო გეგმის დეზორგანიზაცია.

# უცხოეთში

(გრუზროსტას ცნობები).

**რუსეთის საფრთხე.**

პარიზი. „პასლედნიე ნოვოსტი" იუწყება, რომ პილსუდსკიმ, რომელიც სდგას პარიზში მყოფ პოლონეთის მისიის სათავეში, განაცხადა — „სანამ არსებობს წითელი ლაშქარი, საფრანგეთი და პოლონეთი ვერ იქნებიან მშვიდად. ბრიანისა და პილსუდსკის შეხვედრისას უმთავრესად ირჩეოდა ის საკითხი, რომელსაც უწოდებენ რუსეთის „რუსეთის საფრთხეს". პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი სთვლის შესაძლებლად, რომ საბჭოთა რუსეთი გაილაშქრებს არა მარტო პოლონეთის წინააღმდეგ არამედ გერმანიის წინააღმდეგ.

**ოსმალეთის ბედი.**

პარიზი. საფრანგეთი და იტალია სცდილობენ გამოვიდნენ შუამავლად ბერძნებსა და ოსმალებს შორის. რომის კაბინეტმა ბევრი წინად დებით მიმართა პარიზს, რომელიც ემყარება იმას, რომ გადაიყვანოს თავის მხრეზე ოსმალეთის დიდგვაროვანი ზომიერი ელემენტები. იტალია წინადადებას იძლევა, რომ გაძლიერებულ იქმნას უმაღლესი ავტორიტეტი სულთანისა სმირნაში, უნდა განისაზღვროს ეკონომიური გავლენის სფეროს ფარგლებში, რომელიც თავისუფალია ოსმალეთის ოკუპაციისაგან და გადაყვანილ იქმნენ ბერძნები სტამბოლიდან და სრუტეებიდან.

ცნობილი გუსტავ ერვე თავის გაზეთ „პობედაში" სწერს: მოკავშირენი ვერ გამოვიდნენ კარგი მოაზროვნენი, თორომ მათ უნდა მიეღოთ ქემალის ყველა პირობები. ოსმალეთს სურს შეინარჩუნოს თავის დამოუკიდებლობა, მას სურს აგრეთვე რომ მისი იყოს სრუტეები და დარჩეს მისი უფლებები მესოპოტამიასა, სირიასა და პალესტინაში. ეს პირობები უნდა მიღებულ იქმნას საერთო ზავის სასარგებლოდ და უმთავრესად კი ინგლისის და საფრანგეთის ინტერესებისათვის. ომისადმი მოქანცულმა ანტანტამ უნდა შესწიროს თავის თ ვმოყვარეობა და მთელი თავის ყურადღება მიაქციოს გერმანიას. ოსმალეთს უნდა დაუბრუნდეს არა არა მარტო ფრაკცია, ადრიანოპოლი, სრუტეები, სტამბოლი და სმირნა, არამედ მესოპოტამია და სირიაც.

**„აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში ბოლშევიზმს."**

პარიზი. გაზეთი „კოტიდიენი" სწერს ბოლშევიზმი, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი, არის ახალი ფაქტორი, რომელსაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიონ ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეობა.

**სამოქალაქო ომი იტალიაში.**

მოსკოვი. მარტის 6-ს (რადიო). ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: მდგომარეობა ფლორენციაში ძლიერ სერიოზულია. სოციალისტურ ჯგუფის მდივანი თეთრგვარდიელებმა დახვრიტეს თავის ბინაზე. ფლორენციის მუშებმა რკინის გზელებთან ერთად გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. რკინის გზელთა გაფიცვა გავრცელდა აგრეთვე პიზაში, ლივორნოში და გენუაში. პროფესიონალური კავშირები აწარმოებენ მოლაპარაკებას საერთო გაფიცვების მოწყობის შესახებ მთელ იტალიაში. თეთრგვარდიელ და ჯარის შეტაკების დროს მოკლულ იქმნა 10, დაიჭრა 400. მოედანზე, ტაძრის წინ დადგმულია ზარბაზნები.

**მუშების დახვრეტა ჩეხო-სლოვაკიაში**

მოსკოვი 6. (რადიო). რიგიდან მოსული ცნობით, ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკაში, რომლის მმართველიც არიან გამყიდველი სოციალისტები, ქალაქ კუმპასში ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს მუშებს, რომლებიც იყვნენ შეკრებილი ქარხნის სამართველოს წინ და მოითხოვდნენ ფულს. მოკლულია ქალი და მუშა, დაჭრილია 16 კაცი. პროტესტის ნიშნად მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და გაემართნენ სამართველოს კანცელარიაში, სადაც ორი კაცი იქმნა მოკლული.

**იაპონიის დანაწილება.**

მოსკოვი. (რადიო). იაპონიის სოციალისტურ მოძრაობის ორგანოს სიტყვით, აუცილებელია იაპონიის იმპერიის დანაწილება, რომელიც ჩქარდება იაპონიის პოლიტიკის წყალობით ციმბირსა, კორეასა და ჩინეთში. იაპონელების ინტრიგები ჩრდილო ჩინეთში გამოიწვევენ სამხრეთ ჩინეთის შეერთებას საბჭოთა რუსეთთან. გაზეთი აღნიშნავს იაპონელ მასის გამოფხიზლებას და ამბობს, რომ მუშები უსათუოდ უნდა ემზადონ გადამწყვეტ მომენტისათვის მუშები უნდა იყურებოდნენ მტკიცე წესრიგს და მძლავრ ორგანიზაციებს.

**ქვანაზმირის რაიონის ელექტროფიკაცია**

მოსკოვთან მდებარე ქვანაზმირის მაღაროებში რაიონების გასაუმჯობესებლად კეთდება ელექტრონული სადგურები. სადგურების მოსაწყობათ მაღაროებში მუშაობა მალე დასრულდება. სადგურების ძალა უდრის 3250 კილოვატტს. კეთდება კიდევ სადგური 3,000 კილოვატტის ძალისა. ბუდაკოვსკის ქარხანასთან არსებული ელექტრონის სადგური აწვდის ელექტრონის ენერგიას გულის რაიონსაც. სმოლენსკის მაღაროებში დროებით კეთდება ელექტრონული სადგური, რომელიც მიაწვდის ენერგიას ბიდლოვსკ რაიონს.

**გაფიცვა ვარშავში.**

რიგა. ვარშავაში და პოლონეთის ზოგიერთ სხვა ქალაქებშიც დაიწყო რკინის გზელთა ნაწილობრივი გაფიცვები, რომელიც გამოცხადებულია რკინის გზელთა გაფიცვის კომიტეტის მიერ. გაფიცული არიან დეპოსა და რკინის გზის სახელოსნოების მუშები. აპოლკავ (?) ც. კ. მოწოდებით მიმართავს მუშებს დაუჭირონ მხარი გაფიცულებს. მოსალოდნელია პოლონეთში საერთო გაფიცვები.

**მონასტრები ბავშვებისათვის.**

მოსკოვი. (რადიო). უპატრონო ბავშვების თავშესაფარათ პსკოვში ისპოლკომის განკარგულებით ივანოვსკის მონასტრიდან გადასახლებულნი არიან ბერები. მონასტრის შენობაში მოწყობილი იქნება საბავშვო სახლი.

**ნედლი მასალის მარაგი.**

მოსკოვი. მარტის 6 (რადიო). უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ნარკომპროდის მიერ დამზადებულია 10 მილიონი (ფუთი [illegible]) [illegible] 800,000 [illegible] დამზადებით, [illegible] 500 000 [illegible] 000 ფუთი.

**აჯანყება ლიტვაში.**

რიგა. მარტის 4. (რადიო), კოვნოდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის მიერ დაჭერილ ლიტვის ნაწილში ქელიგოვსკის წინააღმდეგ აჯანყდებიან გლეხები, რომლებიც პოლონურ პროპაგანდის მაგიერად ითხოვენ სურსათს.

**უძღური განზრახვა.**

ოდესა. მარტის 3. (რადიო). სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იქ ვრანგელის თავმჯდომარეობით მუშაობს კომისია, რომლის მიზანიც არის მიიღოს ზომები ვრანგელის ჯარის დაშლის წინააღმდეგ. ვრანგელი აწარმოებს მოლაპარაკებას სერბიის მთავრობასთან, რომ მისცეს მას ნება მისი ჯარის კოსოვის ველზე დაბანაკებისა, სადაც იგი იქნება გამოყენებული ყოველგვარ სამუშაო მიზნებისათვის.

# სოც.-ფედ. პარტიაში

კვირას, მარტის 6, შესდგა მრავალრიცხოვანი კრება სოც.-ფედერალისტთა პარტიის ტფილისის წევრებისა ამხ. შალვა ნუცუბიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც მოხსენება გაუკეთა კრებას მომენტის, ჩვენი პარტიული მუშაობის და პრესის შესახებ, მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვახტანგ მესხელიშვილმა, ვაზაძემ, დ. პარკაძემ, ბაქრაძემ და სხვ., რის შემდეგაც გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: კრებამ მოისმინა ამხ. შალვა ნუცუბიძის მოხსენება, იწონებს დროებით მთავარ კომიტეტის მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს, საჭიროდ სთვლის „სოც.-ფედერალისტის" გამოცემას, რომელშიაც გაშუქებული იქნება ჩვენი სოფლმხედველობის მიხედვით პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური საკითხები.

# წერილი რედაქ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ქართველ საზოგადოებას ვამცნო შემდეგი. უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი უსაქმია და ბოროტი პირი ჩემს შესახებ საზიზღარ ჭორს ავრცელებს, ერთის მხრივ ბრალს მდებენ და მაბეზღებენ, თითქოს რწმუნებულ გიმნაზიის შენობაში ომის დროს სანთლით ვეძებდი ბოლშევიკებს, ხოლო მეორეს მხრივ ახალ ხელისუფალთა მოვლინების გამო თითქოს უარვყავი ძველი რწმენა და ბოლშევიკი გავხდი, ვფიქრობ, არც ერთი პატიოსანი ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც იცნობს ჩემს რწმენას და ბუნებას, ყურადღების ღირსადაც არ გახდის ამ დაბალი ხარისხის ჭორიკანობას, მე კარგად ვიცი და იციან სხვებმაც, თუ საიდან გამოდის ეს ბინძური ნაკადი და რა მიზანიცა აქვს დასახული, მაგრამ დღევანდელ ისედაც მძიმე და გართულებულ პირობებში ყოველგვარი მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად, რომ ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი არ წამოეგოს ასეთ ანკესს, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ პირველიც და მეორეც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული უზნეო ჭორია. მე მტკიცედ მრწამს, რომ თვისი რწმენის ანაზდად შეცვლაზე ლაპარაკი მხოლოდ სინიდისისაგან შორს მყოფ პირებს შეუძლიან. ეს გადაჭრით განვუცხადე საუზრის დროს ჩემს ძველ კარგ ნაცნობს ამხ. ოკუჯავას და მრავალ სხვასაც. რაც შეეხება იმას, რომ მე ამხ. ნიკო მარისთან ერთად მივდევ შრომა და მოვალეობა სასწავლო კოლეგიის წევრობისა ამისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო ბოლშევიკად გახდომა, და ფიქრადაც არავის მოსვლია ასეთი რამ მოეთხოვა ჩვენთვის: ისე კი ჩემს საღვთო მოვალეობად მიმაჩნია, მთელი ჩემი მცირე ცოდნითა და ძალ-ღონით ყოველთვის ვემსახურო ქართულ კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს, თუ რასაკვირველია, ამის საშუალება და შესაძლებლობა მექნება. Sapienti sat!

დედა ქალაქი. ალ. წერეთელი.
მარტის 8 1921 წ.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.